

# ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## იურიდიული ფაკულტეტი

**კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საუკუნოვანი ტრადიციის მქონე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე!**

**გვეამაყება, რომ შენი ცხოვრების ახალი ეტაპის დასაწყისი სწორედ ჩვენ დაგვიკავშირე. ახლა უკვე თსუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს გისურვებთ წარმატებებს!**

**ეს გზამკვლევი დაგეხმარებათ საუნივერსიტეტო სივრცესთან ადაპტაციასა და სწავლასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში.**

**იურიდიული ფაკულტეტი — Consortium Omnis Vitae (მთელი ცხოვრების თანამეგობრობა).**

## ადმინისტრაციული რეგისტრაციის 4 ეტაპი

| 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|
| ანკეტის ელექტრონული ვერსიის შევსება | დოკუმენტების წარმოდგენა | ხელშეკრულების გაფორმება | აკადემიური რეგისტრაცია |

პირველსემესტრელი სტუდენტი ვალდებულია თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე პირადი საქმის გასახსნელად:

1. შეავსოს ანკეტის ელექტრონული ვერსია
2. წარმოადგინოს სათანადო დოკუმენტები
3. გააფორმოს ხელშეკრულება
4. გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია

# I ეტაპი: ანკეტის ელექტრონული ვერსია
## პირველი შესვლა სასწავლო პროცესის მართვის პორტალზე

გაცნობებთ, რომ ანკეტის ელექტრონული ვერსია გააქტიურდება 7 სექტემბერს.
ანკეტის ელექტრონული ვერსიის საშუალებით გადახვალთ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ პორტალზე uni.tsu.ge, სადაც შესასვლელად დაგჭირდებათ მომხმარებლის სახელისა და პაროლის მითითება.




პირველ ეტაპზე მომხმარებლის სახელიც და პაროლიც არის თქვენი პირადი ნომერი. პორტალზე შესვლისთანავე მოგეთხოვებათ პაროლის შეცვლა, რადგან დასახელებული პაროლი არის ერთჯერადი.




აღნიშნული ეტაპის გავლის შემდეგ გაიხსნება შესავსები ანკეტა — მნიშვნელოვანია, ინფორმაცია შეიტანოთ სწორად.

**გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება შემდეგ საკითხებს:**

- **ფოტოს ატვირთვა**: ატვირთეთ 3/4 ფორმატის პირადი ფოტო;
- **სახელი და გვარი ქართულ და ინგლისურ ენებზე:** მიუთითეთ ზუსტად ისე, როგორც აღნიშნულია თქვენს ოფიციალურ დოკუმენტებში;
- **სახელი და გვარი ინგლისურ ენაზე:** უნდა შეესაბამებოდეს პირადობის დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტში მითითებულ მონაცემებს;
- **ტელეფონის ნომერი:** მიუთითეთ აქტიური მობილური ნომერი +995-ისა და დეფისების გარეშე.
- მაგალითად: 512345678
- **ელექტრონული ფოსტა:** სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ მიუთითოთ პირადი ელ-ფოსტის მისამართი.
- **მისამართი:** გთხოვთ, მიუთითოთ როგორც ფაქტობრივი, ასევე იურიდიული მისამართი.

# II ეტაპი: ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოსადგენი დოკუმენტაცია

ხელშეკრულების გაფორმება მიმდინარეობს 7-14 სექტემბერი 10:00-დან 18.00 საათამდე. აუცილებელია ხელშეკრულება და სხვა დოკუმენტაცია წარმოადგინოთ არაუგვიანეს **14 სექტემბრის 18:00 საათისა.**

ხელშეკრულების გაფორმება და დოკუმენტაციის წარმოდგენა მიმდინარეობს შემდეგ მისამართზე: **იურიდიული ფაკულტეტი** - მის.: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 3, თსუ, II კორპუსი, მე-2 სართული, ოთახი N212, ტელ.: (+995 32) 2 25 04 84 (შიდა 2220).

1 სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

2 პირადობის დამადასტურებელი მოწმობის / პასპორტის ასლი (დედანის წარმოდგენით);

3 ორი ცალი ფოტოსურათი [3 X 4];

4 სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);

5 უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# არასრულწლოვანისათვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1

➢ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებას თსუ-სთან აფორმებს სტუდენტობის კანდიდატის კანონიერი წარმომადგენელი - მშობელი, მან ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა დამატებით უნდა წარმოადგინოს:

- სტუდენტობის კანდიდატის დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- მშობლის პირადობის მოწმობის ასლი (დედანის წარმოდგენით).

2

➢ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებას თსუ-სთან აფორმებს სტუდენტობის კანდიდატის :

- კანონიერი წარმომადგენელი - მშობლის მინდობილი პირი, მაშინ მან ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების გარდა დამატებით უნდა წარმოადგინოს:
- სტუდენტობის კანდიდატის დაბადების მოწმობის ნოტარიულად დამოწმებული ასლი; მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;
- მინდობილი პირის პირადობის მოწმობის ასლი (დედანის წარმოდგენით).

აკადემიურ რეგისტრაციას (სასწავლო კურსების არჩევა) ვერ გაივლის სტუდენტი, დოკუმენტების წარმოდგენისა და ხელშეკრულების გაფორმების გარეშე. რეგისტრაცია ხდება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის (UNI.TSU.GE) საშუალებით.

## სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

I სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსები (30 კრედიტი):

1. უცხოური ენა სამართლის სტუდენტებისთვის - 1
2. ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის
3. შესავალი სამართლისმცოდნეობაში
4. ქართული სამართლის ისტორია
5. საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი
6. შესავალი სამოქალაქო სამართალში

**იხ. ვრცლად.**

## საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

I სემესტრის სავალდებულო სასწავლო კურსები (32 კრედიტი):

1. სამართლებრივი ინგლისური - 1
2. ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის
3. შესავალი სამართლისმცოდნეობაში
4. საქართველოს საკონსტიტუციო (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი
5. შესავალი სამოქალაქო სამართალში
6. შესავალი საერთაშორისო საჯარო სამართალში
7. საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი

**იხ. ვრცლად.**

# IV ეტაპი: აკადემიური რეგისტრაციის ინსტრუქცია

## სასწავლო კურსების არჩევა *UNI.TSU.GE*-ზე

საგნების არჩევა თსუ-ს იურიდიულ ფაკულტეტზე

საგნების არჩევის პროცესი ყველა თსუელისთვის ნაცნობი გამოწვევაა. აქ მოქმედებს მთავარი რომაული პრინციპი: „დროში პირველი, უფლებაში უპირატესი“ (Primo in tempore, potior in iure).

სასურველ ლექტორთან მოხვედრასა და საუკეთესო განრიგის შედგენას ხშირად წამები წყვეტს. სწორედ ეს პროცესი გაგრძნობინებთ თავს ნამდვილ თსუელად!

გთავაზობთ **ვიდეო გზამკვლევს** აკადემიური რეგისტრაციისათვის



სამართლისა და საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ნახვა სტუდენტებს შეუძლიათ საიტზე - tsu.ge.

საფეხური 01

tsu.ge

საიტზე შესვლის შემდეგ უნდა გადახვიდეთ „იურიდიული ფაკულტეტის“ განყოფილებაში.




საფეხური 02




იურიდიული ფაკულტეტის განყოფილებაზე გადასვლის შემდეგ ეკრანზე გამოვა წითელი ჩამოსაშლელი ფანჯარა - „ფაკულტეტის შესახებ“

საფეხური 03

ფანჯრის ჩამოშლის შემდეგ თქვენ გამოგიჩნდებათ კატეგორიები, საიდანაც უნდა აირჩიოთ - „საგანმანათლებლო პროგრამები“




საფეხური 04



შემდეგ უნდა აირჩიოთ სწავლების საფეხური - „ბაკალავრიატი“

საფეხური 05

ბოლოს კი აირჩევთ სასურველ პროგრამას - სამართლის ან საერთაშორისო სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებ-ლო პროგრამა



**სასარგებლო ინფორმაცია:**

1. დეკანი
2. დეკანის მოადგილეები
3. დეკანის აპარატი
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
5. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური
6. სამეცნიერო კვლევების და ინტერნაციონალიზაციის სამსახური
7. სტუდენტთა მომსახურების ჯგუფი
8. კანცელარია

## დეკანი

ასოცირებული პროფესორი
მორის შალიკაშვილი

moris.shalikashvili@tsu.ge

თსუ II კორპუსი, ოთახი №206

## დეკანის მოადგილეები

1. პროფესორი
პაატა ტურავა

paata.turava@tsu.ge

თსუ II კორპუსი, ოთახი №118

2. ასოცირებული პროფესორი
ვასილ გონაშვილი

vasil.gonashvili@tsu.ge

თსუ II კორპუსი, ოთახი №115

დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ **ბმულს**.

გისურვებთ წარმატებებს!

ივანე ჯავახიშვილისა უმაღლესი ისტორიული განათლების 100-წლიანი ტრადიცია

## დეკანის აპარატი

- ხელს უწყობს დეკანის ფუნქციების განხორციელებას;
- კოორდინაციას უწევს დეკანის ურთიერთობას უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან, ასევე, სტუდენტებთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან;
- ორგანიზებას უწევს ფაკულტეტის სტუმართა ვიზიტებს ინტერნაციონალიზაციისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურთან ერთად;
- აქვს კომუნიკაცია ფაკულტეტის ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორ დაწესებულებებთან.

დამატებითი ინფორმაცია

## სტუდენტთა მომსახურების ცენტრი

- დახმარებას უწევს (ემსახურება) სტუდენტებს სასწავლო პროცესში არსებული მათი პრობლემების გადაჭრასა და აღმოფხვრაში;
- ახორციელებს ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

დამატებითი ინფორმაცია

## სასწავლო პროცესების მართვის სამსახური

- ახორციელებს იურიუდიულ ფაკულტეტზე სასწავლო პროცესის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- დახმარებას უწევს (ემსახურება) სტუდენტებს სასწავლო პროცესში არსებული მათი პრობლემების გადაჭრასა და აღმოფხვრაში.

დამატებითი ინფორმაცია

## ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

იურიუდიულ ფაკულტეტზე მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე, მისი აკადემიური პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით.

დამატებითი ინფორმაცია

## სამეცნიერო კვლევების და ინტერნაციონალიზაციის სამსახური

- უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების ორგანიზებასა და წახალისებას სამართლის სფეროში;
- ახალგაზრდა თაობის დაიტერესებას მეცნიერებით;
- ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო, კვლევით და სასწავლო დაწესებულებებთან ურთიერთობების დამყარებას;
- ინტერდისციპლინური კვლევების წახალისებას;
- მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერ იურისტთა მოწვევასა და სამეცნიერო ინტელექტის მოზიდვას ფაკულტეტზე.

დამატებითი ინფორმაცია

## კანცელარია

იღებს იურიდიულ ფაკულტეტზე შემოსულ ყველა ტიპის განცხადებას, ატარებს მათ რეგისტრაციაში და უგზავნის იურიდიული ფაკულტეტის საპასუხო წერილებს შესაბამის ადრესატებს.

დამატებითი ინფორმაცია



მესინას უნივერსიტეტი, იტალია



ლიმერიკის უნივერსიტეტი, ირლანდია



კოტ დ'აზურის უნივერსიტეტი, საფრანგეთი

# გაცვლითი პროექტები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა შემდეგი სახის გაცვლით პროგრამაში მიიღონ მონაწილეობა:

1. ERASMUS+ მობილობა სტუდენტებისთვის;
2. ორმხრივი თანამშრომლობის გაცვლითი კონკურსები სტუდენტე-ბისთვის;
3. MEVLANA-ს სტუდენტური მობილობის კონკურსები;
4. საზაფხულო/ზამთრის სკოლები და მოკლევადიანი პროექტები.

გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტმა უნდა წარადგინოს უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან დაწეროს თსუ-ის მიერ ორგანიზებული უცხოური ენის გამოცდა, რომელსაც უნივერსიტეტი ყოველ სემესტრში აორგანიზებს, მონაწილეობის მიღება კი ყველა სტუდენტს უფასოდ შეუძლია.
მეორე ეტაპზე მონაწილეს მოუწევს გასაუბრების გავლა კომისიის წინაშე.

გაცვლითი პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ. ფოსტაზე: mobility@tsu.ge.



# საერთაშორისო კავშირები



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**იურიდიული ფაკულტეტი**

# სტუდენტური თვითმმართველობა

## რა არის სტუდენტური თვითმმართველობა ?

- **უზრუნველყოფს შენი უფლებების, ინტერესებისა და აკადემიური საჭიროებების დაცვას უნივერსიტეტის მართვის ყველა დონეზე.**

- **მოქმედებს როგორც ოფიციალური ხიდი სტუდენტსა და ადმინისტრაციას შორის ნებისმიერი საკითხის სწრაფად გადასაჭრელად**

- **გეხმარება პროექტების, კვლევებისა თუ სტუდენტური ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებაში**

- **გთავაზობს პლატფორმას ლიდერული, ორგანიზაციული, კომუნიკაციური და გუნდური უნარების დასახვეწად**

- **გეგმავს მასშტაბურ აკადემიურ, კულტურულ, სპორტულ და სოციალურ პროექტებს ახალი კონტაქტებისა და გამოცდილების შესაძენად**

- **ჩვენი მიზანია შევქმნათ თანაბარი, აქტიური და შესაძლებლობებით სავსე საუნივერსიტეტო გარემო, სადაც თითოეული სტუდენტი შეძლებს საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას.**

# თვითმმართველობის სტრუქტურა

- პრეზიდენტი;ვიცე-პრეზიდენტები
- თავმჯოდმარე;თამჯდომარის მოადგილეები
- დეპარტამენტის კოორდინატორები;მოადგილეები
- დეპარტამენტები:

  განათლება
  სპორტი
  კულტურა
  პიარი/PR

**თვითმმართველობის ოფიციალური მეილი:**

**Self-governance.law@tsu.ge**

# დეპარტამენტების მიმოხილვა

| განათლების დეპარტამენტი | სპორტის დეპარტამენტი |
|---|---|
| • აწვდის სტუდენტებს მათი სპეციალობისთვის რელევანტურ ცოდნას ინტერაქციული და საინტერესო ფორმატებით.<br>• უზრუნველყოფს პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებას სხვადასხვა აკადემიური, ინტელექტუალური და მასშტაბური გასვლითი ღონისძიებების მეშვეობით.<br>• დეპარტამენტის საქმიანობასა და პროექტების მაღალ დონეზე განხორციელებას უძღვებიან კოორდინატორები და მათი მოადგილეები. | • ორგანიზებას უწევს ტურნირებს, შეჯიბრებებსა და მასშტაბურ აქტივობებს.<br>• ხელს უწყობს საუნივერსიტეტო გუნდებს და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.<br>• მართავს შეხვედრებსა და საჯარო ლექციებს მოწვეულ სპორტსმენებთან.<br>• დეპარტამენტის საქმიანობას უძღვებიან კოორდინატორი და მისი მოადგილეები. |
| **კულტურის დეპარტამენტი** | **საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის დეპარტამენტი** |
| • ორგანიზებას უწევს კონცერტებს, კინოჩვენებებსა და თემატურ ვიქტორინებს.<br>• მართავს ფოტოკონკურსებს, პოდკასტების პროექტებსა და საჯარო ლექციებს.<br>• ეხმარება სტუდენტებს შემოქმედებითი პოტენციალისა და იდეების რეალიზებაში.<br>• დეპარტამენტის საქმიანობას უძღვებიან კოორდინატორი და მისი მოადგილეები. | • უზრუნველყოფს ფოტო/ვიდეო გადაღებას, TikTok-ისა და სოციალური ქსელებისთვის კონტენტის შექმნასა და ქოფირაითინგს.<br>• ქმნის ქავერებს, სარეგისტრაციო ფორმებს და მართავს მონაწილეთა ბაზასა თუ სერტიფიცირებას.<br>• იძიებს სპონსორებს, უზრუნველყოფს პროექტების პოპულარიზაციას, დაფინანსებასა და გამართულად ჩატარებას.<br>• დეპარტამენტის საქმიანობას უძღვებიან კოორდინატორი და მისი მოადგილეები. |

# თსუ იურიდიული ფაკულტეტი - უმაღლესი იურიდიული განათლების 100-წლიანი ტრადიცია



დებატების ტურნირი



იურისტთა ლიგა



დროშების გადმოფენა 26 მაისს



წიგნის პრეზენტაცია



უკრაინის მხარდამჭერი აქცია



უსახლკარო ბავშვების მხარდასაჭერი საქველმოქმედო აქცია

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მთავარ ღირსებას მისი სტუდენტები წარმოადგენენ.

სტუდენტების საუნივერსიტეტო მართვაში ჩართულობის უზრუნველ-საყოფად იურიდიულ ფაკულტეტზე არსებობს სტუდენტური თვით-მმართველობა. ფაკულტეტი მუდმივად მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს, იქნება ეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა თუ სხვა სახის აქტივობები.



პირველკურსელთა მიღების ცერემონიალი



საახალწლო ბაზრობა და წვეულება



90-იანების წვეულება  (რეზო და ბავშვები)



იურიდიული ფაკულტეტიის სტუდენტთა გამოსაშვები საღამო - 2022



სისხლის დონაციის საქველმოქმედო კვირეული